



სსიპ ქალაქ თბილისის №136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

18 09 2015 წ.

ბრძანება № 2-208/2

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 47-ე მუხლის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნების და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანების მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2015-2016 სასწავლო წლის, სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის, მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას საარჩევნო კომისია დანართი N1-ის შესაბამისად;
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილი კომისიის წევრებს შესაბამისი კლასების მიხედვით დაევალოთ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნებისათვის კანდიდატთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო კამპანიაზე ზედამხედველობის გაწევა და არჩევნების ჩატარების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
3. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების შესრულების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.
4. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

სსიპ - ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:

/ელზა ზადაშვილი/

